

თ რ

ბორის მიმდებარე სარპინიგზო დაცვითი ფილ ზოლების სამეურნეო
მდგრმარეობა და მათი ოპტიმიზაციის ღონისძიებები
გორგი გაგოშიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია,
თბილისი, საქართველო,

E-mail: giorgigagoshi@mail.ru;

დაგით შევარდნაძე-საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
E-mail: davit.shevardinadze@railway.ge; davitshevardinadze@gmail.com;

ანოტაცია. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საქართველოს ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალის ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო ნაწილის, კერძოდ ქალაქ გორის რკინიგზის დაცვითი ტყის ზოლების სამეურნეო მდგომარეობა. აღნიშნული საკითხის შესწავლა მოხდა სპეციალურად აღებული სააღრიცხვო ბაქნის საფუძველზე. სტატიიდან ჩანს, რომ ქ. გორისმიმდებარებულ არსებული დაცვითი ტყის ზოლები დღეს არ იმყოფება ოპტიმალურ მდგომარეობაში და საჭიროებს გადაუდებელ რეკონსტრუქციას.

საკვანძო სიტყვები: მაგისტრალი, დაცვითი ტყის ზოლები, სააღრიცხვო ბაქანი, რეკონსტრუქცია, სარკინიგზო ქსელი.

ქვეყნის წინსვლისთვის და განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მაქსიმალურადიყოს გამოყენებული მისი სატრანსპორტო პოტენციალი, საქართველოს შემთხვევაში კი, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგრადის გათვალისწინებით, სატრანსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება კიდევ უფრო აუცილებელია. საბედნიეროდ საქართველოში უკვე 100 წელზე მეტია რაც არსებობს რკინიგზა დადგეს უკვე ქვეყნის მთელი ტერიტორია დაქსელილია სარკინიგზო ხაზებით.

იმისათვის, რომ რკინიგზამ სრულფასოვნად შეასრულოს საკუთარი ფუნქცია, როგორც სამგზავრო ისე ტვირთების გადაზიდვის კუთხით, აუცილებელია სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სათანადო დაცვა.

საქართველოში არსებულ სარკინიგზო ქსელში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი მიმართულება, კერძოდ თბილისი-ბათუმი და თბილისი-ფოთი. შესაბამისად ჩვენს მიერ შესწავლილი მონაკვეთი, კერძოდ ქ. გორის რკინიგზა მთელი ქვეყნის სარკინიგზო ქსელის ერთ-ერთ საკვანძო ნაწილს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ტყის ზოლების გარდა სხვა საშუალებებითაც არის შესაძლებელი რკინიგზის მაგისტრალის და მასზე არსებული ინფრასტრუქტურის დაცვა, ტყის ზოლების გაშენება გაცილებით უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე ნებისმიერისხვადამცავი საშუალების გამოყენება, ვინაიდან დაცვითი ტყის ზოლების მოწყობა მატერიალური თვალსაზრისით უფრო ეკონომიურია ვიდრე სხვა საშუალებებით რკინიგზის დაცვა. მაგალითად დადგენილია, რომ 1 კმ. სიგრძის ლიანდაგის დაცვა გადასატანი ფარების მეშვეობით, დაახლოებით შვიდჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე იგივე მონაკვეთის რკინიგზის ლიანდაგის დაცვა ტყის ზოლების დახმარებით. გარდა ამისა დაცვითი ტყის ზოლების მოწყობა დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მსაფლიოში მიმდინარე კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ჩვენზე დაკისრებულია ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის ოპტიმიზაციისთვის საჭირო დონისძიებების გატარების ვალდებულება.

როგორც წესი დაცვითი ტყის ზოლების მუშაობის პრინციპი შემდეგნაირია: ქარი, რომელიც თავის გზაზე ხვდება წინადობას ხეების და ბუჩქების სახით კარგავს სიჩქარეს და აქედან გამოდინარე მცირდება მისი უნარი გადაიტანოს დიდი მოცულობის თოვლი, რის შედეგადაც თოვლის დალექვა ხდება ნარგავებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაცვითი ტყის ზოლები ეფექტურად იცავს ლიანდაგს ნამქერისგან, ამასთან დალექვილი თოვლი ზრდის ნიადაგის ტენიანობას და დადებით გავლენას ახდენს მის ნაყოფიერებაზე.

ეოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სარკინიგზო მაგისტრალის გასწვრივ დაცვითი ტყის ზოლების გაშენებით უზრუნველყოფილი იქნება სარკინიგზო ობიექტების უსაფრთხოება და ამასთან ხელი შეეწყობა ნიადაგის დაცვას გამომრობისგან და ქარისმიერი ეროზიისგან. ამასთან ფერდობებზე მოწყობილ დაცვითი ტყის ზოლებს აქვს ზვავ-საწინააღმდეგო და მეწყერ-საწინააღმდეგო ფუნქციებიც.

როგორც ზემოთ ავდინიშნეთ, ქალაქ გორის რკინიგზის დაცვითი ტყის ზოლების სამეურნეო მდგომარეობას განვიხილავთსპეციალურად აღებული სააღრიცხვო ბაქნის საფუძველზე.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სააღრიცხვო ბაქანი მდებარეობს ქ. გორის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 590 მეტრზე და მისი ფართობია 810 კვ.მ. სააღრიცხვო ბაქანს აქვს ვაკე რელიეფი, დაცვითი ტყის ზოლები მოწყობილია სამ მწკრივად, ხოლო მათი სტრუქტურა არის ნახევრად ქარგამტარი. მანძილი მწკრივებს შორის - 3 მ. მანძილი მწკრივში

მცენარეებს შორის ასევე - 3 მ. ამ სააღრიცხვო ბაქანზე დაცვითი ტყის ზოლების მოსაწყობად გამოყენებულია სულ სამი სახეობის მცენარე, ესენია:

სოსნოვსკის ფიჭვი (*Pinus Sosnowskyi*);

ჩვეულებრივი იფანი (*Fraxinus excelsior*);

ქართული მუხა (*Quercus iberica*).

წარმოდგენილ ბაქანზე მცენარეთა გახარების პროცენტი არის 57%. ამ ტერიტორიაზე სარგავი ადგილების რაოდენობაა 90 ერთეული, აქედან ზეზე მდგომია 51, ხოლო ცარიელი ადგილების და ძირკვების რაოდენობაა 39, საიდანაც 9 წაქცეულია, 16 ქარქცეული და 14 გადამტვრებული. ზეზე მდგომი 51 მცენარიდან 16 გადაბერებულია, ხოლო 13 მავნე ორგანიზმების მიერ არის დაზიანებული. შესაბამისად, 90 სარგავ ადგილზე გაშენებული მცენარეებიდან 68 ერთეული ამორტიზირებულია, რაც კარგად მეტყველებს აღნიშნული დაცვითი ტყის ზოლების დღეს არსებულ მძიმე სამეურნეო მდგომარეობაზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო ბაქანზე არსებული მერქნიანი მცენარეების ტაქსომეტრული მახსინათვებლების ცხრილი (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი 1.

| № | მცენარეულობის სდასახელება | (მ) | (სმ) | მანძი ლიპი რვე ლცო ცხა ლტო ტამდ ე (მ) | გარჯ ისსი გრძე (მ) | მცენარ ისხნოვ ანება (წელი) | ვარ ჯი სგა ულ ილ ობა | ვარჯ ისგა შლი ლობ ა (მ) | ბო ლო წლი სშემ ბა | ბო ლო წლი სშემ ბა | ბოლ ო წლი სშემ ნა | შენიშვ ნა |
|----|------------------------------|-----|------|--|-----------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|--------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | |
| 1 | სოსნოვსკისფიჭ ვი | 20 | 20 | 10 | 10 | 40 | 2 | 2 | 0.1 | 0.5 | | |
| 2 | ჩვ. იფანი | 23 | 17 | 15 | 8 | 41 | 2 | 3 | 0 | 0 | | |
| 3 | ქართულიმუხა | 22 | 50 | 14 | 8 | 35 | 4 | 4 | 0.1 | 0.5 | | |
| 4 | ჩვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | | |
| 5 | სოსნოვსკისფიჭ ვი | 20 | 25 | 11 | 9 | 41 | 2.5 | 2 | 0.1 | 0 | | |
| 6 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | | |
| 7 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | | |
| 8 | სოსნოვსკისფიჭ ვი | 20 | 21 | 13 | 7 | 48 | 2 | 2.5 | 0 | 0.5 | | |
| 9 | ჩვ. იფანი | 15 | 18 | 10 | 5 | 42 | 2 | 2 | 0.1 | 0.5 | | |
| 10 | სოსნოვსკისფიჭ ვი | - | - | - | - | - | - | - | - | - | | |
| 11 | სოსნოვსკისფიჭ ვი | - | - | - | - | - | - | - | - | - | | |

| | | | | | | | | | | | |
|----|---------------------|----|----|----|----|----|---|-----|------|-----|--|
| | 30 | | | | | | | | | | |
| 12 | ქართულიმუხა | 20 | 60 | 11 | 9 | 46 | 5 | 7 | 0.1 | 0.5 | |
| 13 | წვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 14 | სოსნოვსკისფიქ 30 | 17 | 35 | 9 | 8 | 43 | 3 | 3 | 0 | 0 | |
| 15 | სოსნოვსკისფიქ 30 | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 16 | ქართულიმუხა | 23 | 65 | 13 | 10 | 33 | 3 | 4 | 0.1 | 0 | |
| 17 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 18 | სოსნოვსკისფიქ 30 | 24 | 31 | 14 | 10 | 36 | 3 | 3.5 | 0.1 | 0 | |
| 19 | წვ. იფანი | 18 | 16 | 13 | 5 | 50 | 2 | 2 | 0.1 | 0 | |
| 20 | ქართულიმუხა | 22 | 61 | 12 | 10 | 50 | 4 | 5 | 0 | 0 | |
| 21 | წვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 22 | სოსნოვსკისფიქ 30 | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 23 | სოსნოვსკისფიქ 30 | 19 | 19 | 13 | 6 | 44 | 2 | 2 | 0.1 | 0 | |
| 24 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 25 | წვ. იფანი | 15 | 19 | 10 | 5 | 43 | 3 | 3 | 0.05 | 0 | |
| 26 | სოსნოვსკისფიქ 30 | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 27 | წვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 28 | ქართულიმუხა | 18 | 60 | 11 | 7 | 38 | 3 | 5 | 0.1 | 0.5 | |
| 29 | წვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 30 | სოსნოვსკისფიქ 30 | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 31 | ქართულიმუხა | 26 | 50 | 15 | 11 | 42 | 3 | 5 | 0.15 | 0 | |
| 32 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 33 | სოსნოვსკისფიქ 30 | 20 | 27 | 12 | 8 | 40 | 2 | 2.5 | 0.1 | 0 | |
| 34 | წვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 35 | სოსნოვსკისფიქ 30 | 20 | 23 | 11 | 9 | 41 | 2 | 2 | 0.1 | 0.5 | |
| 36 | წვ. იფანი | 13 | 18 | 16 | 7 | 38 | 2 | 3 | 0 | 0 | |

| | | | | | | | | | | | |
|----|------------------------|----|----|----|----|----|-----|-----|------|-----|---|
| 37 | ქართული მუნიციპალიტეტი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| 38 | სოსნოვსკის ფილიალი | 18 | 22 | 9 | 9 | 43 | 2 | 2 | 0 | 0 | |
| 39 | ჩვ. ივანი | 15 | 17 | 10 | 5 | 45 | 2.5 | 2 | 0.1 | 0 | |
| 40 | ქართული მუნიციპალიტეტი | 19 | 43 | 9 | 10 | 30 | 3 | 4 | 0.1 | 0 | |
| 41 | ჩვ. ივანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 42 | სოსნოვსკის ფილიალი | 21 | 26 | 11 | 10 | 45 | 3 | 3 | 0.1 | 0 | |
| 43 | სოსნოვსკის ფილიალი | 17 | 19 | 10 | 7 | 45 | 1.5 | 1.5 | 0 | 0 | |
| 44 | ქართული მუნიციპალიტეტი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 45 | ჩვ. ივანი | 12 | 20 | 8 | 4 | 46 | 2.5 | 2.5 | 0.05 | 0 | |
| 46 | სოსნოვსკის ფილიალი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 47 | ჩვ. ივანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 48 | ქართული მუნიციპალიტეტი | 21 | 38 | 15 | 6 | 37 | 2.5 | 4 | 0.05 | 0 | |
| 49 | ჩვ. ივანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 50 | სოსნოვსკის ფილიალი | 23 | 28 | 15 | 8 | 54 | 2 | 3 | 0.1 | 0.5 | |
| 51 | ქართული მუნიციპალიტეტი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 52 | ჩვ. ივანი | 13 | 17 | 9 | 4 | 45 | 2 | 2 | 0 | 0 | |
| 53 | ჩვ. ივანი | 14 | 19 | 8 | 6 | 45 | 2 | 3 | 0 | 0 | |
| 54 | სოსნოვსკის ფილიალი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 55 | ქართული მუნიციპალიტეტი | 20 | 41 | 10 | 10 | 42 | 3.5 | 4 | 0.1 | 0.5 | |
| 56 | ჩვ. ივანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 57 | ჩვ. ივანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 58 | სოსნოვსკის ფილიალი | 20 | 25 | 10 | 10 | 40 | 3 | 2 | 0.1 | 0 | |
| 59 | ქართული მუნიციპალიტეტი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 60 | ჩვ. ივანი | 14 | 17 | 7 | 7 | 39 | 2 | 2.5 | 0 | 0 | |
| 61 | სოსნოვსკის ფილიალი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 62 | ქართული მუნიციპალიტეტი | 14 | 40 | 6 | 8 | 50 | 3 | 4 | 0.1 | 0 | |

| | | | | | | | | | | | |
|----|---------------------|----|----|----|----|----|---|-----|-----|-----|--|
| 63 | ჩვ. იფანი | 13 | 16 | 8 | 5 | 34 | 2 | 2.5 | 0 | 0 | |
| 64 | სოსნოვსკისფიქ ზო | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 65 | ჩვ. იფანი | 10 | 20 | 7 | 3 | 43 | 3 | 2.5 | 0 | 0 | |
| 66 | ქართულიმუხა | 20 | 43 | 11 | 9 | 32 | 3 | 4 | 0 | 0 | |
| 67 | სოსნოვსკისფიქ ზო | 22 | 24 | 15 | 7 | 35 | 2 | 3.5 | 0 | 0 | |
| 68 | სოსნოვსკისფიქ ზო | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 69 | ქართულიმუხა | 13 | 44 | 8 | 5 | 52 | 3 | 5 | 0.1 | 0 | |
| 70 | ჩვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 71 | სოსნოვსკისფიქ ზო | 19 | 23 | 9 | 10 | 42 | 2 | 2 | 0 | 0.5 | |
| 72 | ქართულიმუხა | 15 | 39 | 8 | 7 | 37 | 2 | 3 | 0 | 0 | |
| 73 | ჩვ. იფანი | 15 | 19 | 10 | 5 | 42 | 2 | 3 | 0.1 | 0 | |
| 74 | სოსნოვსკისფიქ ზო | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 75 | ჩვ. იფანი | 15 | 17 | 10 | 5 | 42 | 2 | 2.5 | 0 | 0 | |
| 76 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 77 | ჩვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 78 | სოსნოვსკისფიქ ზო | 18 | 21 | 9 | 9 | 53 | 2 | 3.5 | 0.1 | 0 | |
| 79 | სოსნოვსკისფიქ ზო | 21 | 26 | 13 | 8 | 42 | 2 | 2 | 0 | 0 | |
| 80 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 81 | სოსნოვსკისფიქ ზო | 21 | 26 | 13 | 8 | 42 | 2 | 2 | 0.1 | 0 | |
| 82 | ქართულიმუხა | 21 | 40 | 13 | 8 | 51 | 3 | 3 | 0 | 0 | |
| 83 | ჩვ. იფანი | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 84 | სოსნოვსკისფიქ ზო | 19 | 24 | 12 | 7 | 40 | 1 | 1.5 | 0 | 0 | |
| 85 | ჩვ. იფანი | 21 | 17 | 13 | 8 | 40 | 3 | 3 | 0 | 0 | |
| 86 | ქართულიმუხა | 22 | 45 | 14 | 8 | 34 | 3 | 3.5 | 0 | 0.5 | |
| 87 | სოსნოვსკისფიქ ზო | 20 | 25 | 11 | 9 | 41 | 2 | 2 | 0.1 | 0 | |

| | | | | | | | | | | | | |
|------------|---------------------|----|----|----|----|----|---|---|------|-----|---|--|
| 88 | სოსნოვსკისფიჭ ვი | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 89 | ქართულიმუხა | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | |
| 90 | სოსნოვსკისფიჭ ვი | 22 | 26 | 10 | 12 | 39 | 3 | 3 | 0.1 | 0.5 | | |
| სულსაშუალო | | 18 | 30 | 10 | 8 | 42 | 2 | 3 | 0.05 | 0.1 | | |

ზემოაღნიშნული მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა მოხდეს ზოლების თავიდან დაპროექტება და ახალი ზოლების გაშენება. ასევეაუცილებელიაშეიცვალოს დაცვით ზოლებში მცენარეთა განლაგება და დღეს არსებული კვადრატულის ნაცვლად, უნდა მოხდეს მცენარეთაჭადრაკულადგანლაგება, რაც გათხრდის დაცვითი ზოლების მუშაობის დადგებით ეფექტს. ხეების ჭადრაკულად განლაგების შემთხვევაში დაცვითი ტყის ზოლების მუშაობის პრინციპი პრაქტიკულად იქნება განხორციელებული, ქარი, რომელიც თავის გზაზე შეხვდება წინადობას ხეების და ბუჩქების სახით დაკარგავს სიჩქარეს და აქედან გამომდინარე შემცირდება მისი უნარი გადაიტანოს დიდი მოცულობის თოვლი და როგორც ზევით არის აღნიშნული, თოვლი დაილექტება ნარგავებს შორის. გარდა ამისა საჭიროა დაცვით ტყის ზოლებში გასაშენებლად შეირჩეს მცენარეთა სწორი ასორტიმენტი. დაცვით ზოლებში გაშენებული მცენარეების 60-70 პროცენტი სასურველია იყოს წიწვოვანი სახეობები, ხოლო ფოთლოვანებიდან ყველაზე ეფექტურია, დაცვით ზოლებში ვერხვების გამოყენება, მაგ. კანადური ვერხვი (*Populus deltoides*) და ალვის ხე (*Populus pyramidalis*).

ლიტერატურა.

1. ა. ციცვაძე, გ. გიგაური, გ. გაგოშიძე- “დენდროლოგია (შიშველთესლოვანები)”;
 2. სს “საქართველოს რკინიგზის” სამშენებლო პროექტი – “თბილისი- ბათუმის სარკინიზო მაგისტრალის მოდერნიზაცია”

STATE AND MEASURES TO OPTIMIZE FOREST LANES AT THE RAILWAY IN GORI

G. Gagoshidze - Georgian Academy of Agricultural Sciences, Georgian Technical University, Tbilisi,
Georgia;

E-mail: giorgigagoshi@mail.ru;

D. Shevardnadze - Georgian Technical University, Tbilisi, Georgia;

E-mail: davit.shevardnadze@railway.ge; davitshevardnadze@gmail.com

Summary.

In the present article there is represented condition of defensive forest stripes on the one of the mostimportant section of the central railway line of Georgia, namely the Gori railway. The subject is discussed on the example of accounting platform. The article shows that the condition of defensive forest stripes on the above mentiond section of Georgian railway, for today is not good and requires urgent reconstruction.